დამოუკიდებელი ინსპექტორის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2023 წლის 29 დეკემბერი**

დისციპლინური საქმე №215/23
მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2023 წლის 4 დეკემბრის №215 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2023 წლის 5 დეკემბრის № -- -- წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ სასამართლო სხდომაზე -- -- მოწვევის ეტაპზე იგნორირებული იქნა საპროცესო ნორმითა და სასამართლო პრაქტიკით დადგენილი ქმედებები, რის გამოც მათ არ მიეცათ საშუალება დაეცვათ კანონიერი ინტერესი.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2023 წლის 24 თებერვალს, -- -- ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას -- -- განსახილველად წარედგინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და მასალები -- -- მიმართ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 155^9-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების შესაძლო ჩადენისათვის. იმავე დღეს საქმე განაწილდა -- -- სასამართლოს მოსამართლე -- --.

საქმეზე სასამართლო სხდომები ჩატარდა 2023 წლის 9 მარტს, 30 მარტსა და 20 აპრილს.

სასამართლო უწყება 2023 წლის 9 მარტის სასამართლო პროცესზე დაბარების თაობაზე -- -- გაეგზავნა 2023 წლის 6 მარტს, როგორც იურიდიულ მისამართზე (-- --), ასევე, საქმეში

არსებულ ფაქტობრივ მისამართზე (-- --). სასამართლო უწყება არ ჩაბარდა მხარეს, მიზეზად მითითებულია, რომ ზემოაღნიშნულ მისამართზე -- -- არ იძებნება.

-- -- 2023 წლის 13 მარტსა და 2023 წლის 17 მარტს გაეგზავნა სასამართლო უწყება 2023 წლის 30 მარტის სასამართლო სხდომაზე დაბარების თაობაზე მისამართზე: -- --. სასამართლო უწყებები არ ჩაბარდა მხარეს, მიზეზად მითითებულია, რომ ზემოაღნიშნულ მისამართზე შპს არ ფუნქციონირებს.

2023 წლის 17 მარტს, -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე -- -- მიერ მიღებულ იქნა დადგენილება საჯარო შეტყობინების შესახებ.

-- -- 2023 წლის 3 აპრილსა და 5 აპრილს გაეგზავნა სასამართლო უწყება 2023 წლის 20 აპრილის სასამართლო სხდომაზე დაბარების თაობაზე შემდეგ მისამართებზე: -- --. სასამართლო უწყება არ ჩაბარდა არც ერთ მისამართზე.

2023 წლის 6 აპრილს, -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე -- -- მიერ მიღებულ იქნა დადგენილება საჯარო შეტყობინების შესახებ.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 20 აპრილის დადგენილებით -- -- ცნობილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 155^{9}-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენაში და ადმინისტრაციული სახდელის სახით დაეკისრა ჯარიმა -- -- ლარის ოდენობით, სამართალდარღვევის საგნის თამბაქოს ნაწარმის კონფისკაციით.

2023 წლის 22 მაისს -- -- წარმომადგენელმა -- -- მიმართა -- -- სასამართლოს და მოითხოვა სასამართლო გადაწყვეტილების მის მიერ მითითებულ მისამართზე გაგზავნა. -- -- სასამართლოს 2023 წლის 20 აპრილის დადგენილება -- -- წარმომადგენელმა ჩაიბარა 2023 წლის 15 ივნისს.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები; 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კი, მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. დამატებით, საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს და არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია.

მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

აღნიშნული პრინციპების დასაცავად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

კონკრეტულ შემთხვევაში საჩივრის ავტორი უთითებს, რომ სასამართლო სხდომაზე -- -- მოწვევის ეტაპზე იგნორირებული იქნა საპროცესო ნორმითა და სასამართლო პრაქტიკით დადგენილი ქმედებები, რის გამოც მათ არ მიეცათ საშუალება დაეცვათ საკუთარი კანონიერი ინტერესი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით რეგლამენტირებულია სასამართლო უწყების მხარისათვის ჩაბარების წესი. აღნიშნული კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. ამავე კოდექსის 71-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლო უწყება ადრესატს ბარდება მხარის მიერ მითითებული ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფლის), ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის, სასამართლოსთვის ცნობილი სხვა მისამართის ან მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების განსხვავებული წესის მიხედვით.

მოცემულ საქმეზე სასამართლო სხდომები გაიმართა 2023 წლის 9 მარტს, 30 მარტსა და 20 აპრილს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ პირველად გაგზავნისას უწყების ადრესატისათვის ჩაბარება ვერ ხერხდება, იგი დასაბარებელ პირს უნდა გაეგზავნოს დამატებით ერთხელ მაინც იმავე ან სასამართლოსთვის ცნობილ სხვა მისამართზე.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ -- -- სასამართლო უწყება გაეგზავნა 2023 წლის 6 მარტს, 13 მარტს, 17 მარტს, 3 აპრილსა და 5 აპრილს, როგორც იურიდიულ მისამართზე: -- --, ასევე, საქმეში არსებულ ფაქტობრივ მისამართზე: -- --. მიუხედავად ამისა, მისთვის

გზავნილის ჩაბარება ვერ მოხერხდა. ფოსტის უკუგზავნილებში გზავნილის ჩაუბარებლობის მიზეზად მითითებულია შემდეგი: „აღნიშნულ მისამართზე შპს არ იძებნება“.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ.

საჩივრის ავტორის განმარტავს, რომ მოსამართლემ საჯარო შეტყობინების გავრცელების შესახებ დადგენილების მიღებამდე არ განახორციელა საპროცესო ნორმებითა და პრაქტიკით დადგენილი ღონისძიებები.

საქმის მასალების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ სასამართლოს მხრიდან არაერთი მცდელობის მიუხედავად, ვერ მოხერხდა -- -- სასამართლო უწყების ჩაბარება, ხოლო საქმის მასალებიდან არ იკვეთებოდა უწყების სხვაგვარად ჩაბარების შესაძლებლობა, შესაბამისად, -- -- -- სასამართლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლიდან გამომდინარე, უფლებამოსილი იყო მისთვის სასამართლო სხდომის თაობაზე ეცნობებინა საჯარო შეტყობინების გზით.

მოცემულ შემთხვევაში, ყურადსაღებია ის გარემოება, რომ ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს წარმოადგენს კომპანია. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო უწყების ჩაბარების შეუძლებლობის გამო, სახეზე იყო საჯარო შეტყობინების გამოყენების კანონით გათვალისწინებული წინაპირობები.

ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, „სასამართლო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას, უწყების გაგზავნის რომელი ფორმა გამოიყენოს, რომელ მისამართზე გააგზავნოს უწყება, და არ არის ვალდებული, დაიცვას თანამიმდევრობა...“.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ -- -- დროულად და კანონით დადგენილი წესით ეცნობა სამივე სასამართლო სხდომის დღის შესახებ.

კანონიერებაზე ზედამხედველობა გულისხმობს მოსამართლის მიერ კანონის განმარტების, მტკიცებულებების, ფაქტობრივი და სამართლებრივი დასკვნების შეფასებას. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს მოსამართლის მიერ მიღებული აქტების შესწავლასაც. თავისმხრივ იმის შემოწმება, ხომ არ ჩაიდინა მოსამართლემ დისციპლინური გადაცდომა, ფართო გაგებით, კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახისა და ელემენტების გათვალისწინებით, წარმოადგენს მოსამართლის ქმედების კანონიერების შემოწმებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჩივარში მითითებული გარემოებები სცილდება დამოუკიდებელი ინსპექტორის უფლებამოსილებას.

საქმის დეტალური შესწავლის შედეგად უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლე მოქმედებდა საპროცესო კანონმდებლობის ფარგლებში, შესაბამისად, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მის კანონიერებაზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს

დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტით, 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

შეწყდეს -- -- 2023 წლის 4 დეკემბრის №215 საჩივრის საფუძველზე არსებული დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ.

შოთა ქადაგიძე
დამოუკიდებელი ინსპექტორი